ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 46 (852) | ოთხშაბათი, 8 ივნისი, 1955 წ. | ფასი 30 კაპ.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების ღირსების საქმე

ლუჟნიკის მიდამოები გამოაცოცხლა ახალგაზრდობის შრომის გუგუნმა. აქ მოვიდნენ დედაქალაქის ენთუზიასტები, რომლებსაც სურთ თავიანთი პატრიოტული წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს უდიდესი სპორტული ბაზის მშენებლობაში. მოსკოვის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვალდებულება იკისრეს, დაეხმარონ სტადიონის მშენებლებს ძირითადი სამუშაოების ვადაზე ადრე და ხარისხიანად დამთავრებაში. ლუჟნიკის ბაზის მშენებლობა ისეა დაგეგმილი, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ყველაფერი მზად იქნება.

ყველა რესპუბლიკა და ჩვენი სამშობლოს ორი უდიდესი ქალაქი — მოსკოვი და ლენინგრადი გაცხოველებით ემზადება სპარტაკიადისათვის. „წარმატებით შევასრულოთ მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების გეგმა!“ — ასეთი დევიზით იბრძვიან ისინი. მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაზე იმიტომ არის გამახვილებული ყურადღება, რომ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის დაიშვებიან მხოლოდ პირველთანრიგოსნები და ოსტატები.

როდესაც მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაზე ვლაპარაკობთ პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბაზაზე, სადაც უნდა ჩატარდეს ვარჯიში და ინვენტარზე, რითაც უნდა ივარჯიშონ. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა უმთავრესად შევჩერდეთ სპორტულ ინვენტარზე. სპორტის რომელი სახეობაც არ უნდა ავიღოთ, ზედმეტია მის განვითარებაზე ლაპარაკი თუ არ გვექნება ბევრი და მაღალხარისხოვანი ინვენტარი.

ტანმოვარჯიშეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არსად არ იყო სპორტული ინვენტარის შემკეთებელი სახელოსნოები. ახლა „დინამოს“ ქარხანასთან შეიქმნა ამგვარი სახელოსნო. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს შედგენილი აქვს სპორტინვენტარის დამზადებისა და რეალიზაციის გეგმა. „გლავკულტტორგის“ რესპუბლიკურმა ბაზამ მუშაობა გარდაქმნა.

მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მოთხოვნებს. ავიღოთ სპორტის ისეთი მასობრივი სახეობა, როგორიცაა მძლეოსნობა. რესპუბლიკაში არის რაიონები, სადაც რამდენიმე ხელყუმბარის გარდა არავითარი მძლეოსნური ინვენტარი არ მოიპოვება. კურიოზულია, მაგრამ ფაქტია, შავი ზღვის პირას მოზრდილი ნაკვეთები დაფარულია ბამბუკის პლანტაციებით, მაგრამ ბამბუკის სახტომი ჭოკები კი არ იშოვება. ასევე ვერ იყიდით ვერსად შუბის წვერს, უროს, სასტარტო კალაპოტებს.

ამ ბოლო ხანებში მრავლად შემოზიდეს ველოსიპედის სათადარიგო ნაწილები. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ბორბლის საბურველებისა და სპეციალური ფეხსაცმლის კვლავ სიმცირეს განვიცდით. დედაქალაქის სპორტული მაღაზიების ვიტრინები სავსეა სხვადასხვა არტელის მიერ დამზადებული ქოლგებით, ლაკის ფეხსაცმლებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით. სპორტულ საზოგადოებებს სურთ თავიანთი სპორტსმენებისათვის მოტოციკლები შეიძინონ, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციები მანქანებს ნაღდ ანგარიშზე ჰყიდიან, ხოლო ნაღდი თანხა სპორტორგანიზაციებს არ აქვთ. კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ კმარა. ცხადია, იმდენი რაოდენობით და ისეთი ხარისხის ინვენტარით, როგორიც დღეს გვაქვს შორს ვერ წავალთ — ვერ შევძლებთ მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე რესპუბლიკის გუნდი დაუკომპლექტებელი და დაბალი შედეგებით გამოვა.

საქმე იმაშია, რომ სავაჭრო და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადება, მარტო ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საქმე კი არ არის, არამედ იგი საყოველთაო საქმეა. რესპუბლიკის სპორტული სახელის დაცვაში ჩვენს წარგზავნილებს ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ, უნდა შევქმნათ მათი ნორმალური წვრთნის ყველა პირობა.

სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ერთმანეთთან. შეთანხმებული მუშაობით აღმოფხვრან სპორტინვენტარის განაწილებაში დღემდე არსებული ნაკლოვანებები. ყოველდღიურად იზრუნონ, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი საწარმოების მიერ დამზადებული და სხვა რესპუბლიკიდან შემოზიდული საქონლის ხარისხი. ბურთი თუ ბადე, შუბი თუ ორძელი, მხოლოდ მაღალი ხარისხის უნდა იყოს, სპორტსმენი უნდა გრძნობდეს ინვენტარის ხარისხს, სჯეროდეს მისი.

ზოგიერთი ორგანიზაცია ფიქრობს, რომ სპარტაკიადა ერთი წლის შემდეგ ტარდება და დრო საკმარისად არის. შეცდომაა. თუ ახლავე არ ვიზრუნეთ ყველაფერზე, თუ ახლავე არ გავითვალისწინეთ ყველა წვრილმანი და პარტიისა და მთავრობის დავალებების განუხრელად შესრულებას აქედანვე არ შევუდექით, საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადაზე წარმატებას ვერ მოვიპოვებთ.

* * *

საბჭოთა კალათბურთელების გამგზავრება

4 ივნისს მოსკოვიდან უნგრეთში ევროპის პირველობაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ო. კორქია, ა. კონევი, ა. მოისეევი, ვ. ვლასოვი, კ. პეტკიავიჩუსი, გ. სილინში, სპორტის ოსტატები: ა. ბოჩკარიოვი, ლ. რეშეტნიკოვი, მ. სემიონოვი, ს. სტონკუსი, ვ. ტორბანი და სხვ. გუნდს თან ახლავს მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ტრავინი.

მიტინგი კოლმეურნეობათა მოედანზე

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). ხუთ ივნისს მუშაობა განაახლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, რომლის მთავარ შესასვლელთან ფრიალებენ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები. დილიდანვე გამოფენის მრავალმა ათასმა მონაწილემ და სტუმარმა მოიყარა თავი ქალაქ-ბაღში. ირგვლივ ყველაფერი სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა.

შუადღისათვის გამოფენის სტუმრებითა და მონაწილეებით აივსო კოლმეურნეობათა ვრცელი მოედანი, სადაც მიტინგი იყო დანიშნული, გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ბენედიქტოვმა. შემდეგ სიტყვა ეძლევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორს, აკადემიკოს ნ. ციცინს, რომელმაც ილაპარაკა გამოფენის მნიშვნელობაზე, განვლილ ერთ წელიწადში სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ წარმატებებზე.

წელს გამოფენაზე ჩამოვა სოფლის მეურნეობის 350 ათასი მუშაკი საბჭოთა კავშირის ყველა რაიონიდან. ნაშუადღევის პირველ საათზე გაიღო პავილიონთა შესასვლელები. ამ დღეს მრავალი მნახველი ეწვია პავილიონს „ფიზკულტურა და სპორტი“, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა სპორტსმენების წარმატებათა ამსახველი ექსპონატები. ეს პავილიონი გასულ წელს ათეულ ათასობით მნახველმა დაათვალიერა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სტუმრები საფრანგეთიდან, რუმინეთიდან, ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

გამოფენაზე ექსკურსანტთა ინტერესს იწვევს პავილიონი „საქართველოს სსრ“, რომელიც წელს მრავალი ექსპონატით შეივსო.

სურათზე: პავილიონი „საქართველოს სსრ“.

ა. შოციკასი და გ. შატკოვი — ევროპის ჩემპიონები

დასავლეთ ბერლინის „შპორტპალასტში“ 10 დღე გრძელდებოდა ევროპის მე-11 პირველობის გათამაშება კრივში. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ჩემპიონატი თავისი სიძლიერით საგრძნობლად აღემატებოდა ყველა გასულ პირველობებს.

უმჩატეს წონაში საბჭოთა კავშირის გუნდის წევრმა ვ. სტოლნიკოვმა წააგო შეხვედრა ქულებით ბაზელთან (დასავლეთ გერმანია) და დაკარგა პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსი. გერმანელმა მოკრივემ წარმატებით ჩაატარა ყველა დარჩენილი შეხვედრა. გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო ევროპის ჩემპიონს კუკერს (პოლონეთი) და გავიდა ფინალში. აქ მის წინააღმდეგ გამოდიოდა სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონი, რუმინელი დობრესკუ. დაძაბულ ბრძოლაში მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება ერთხმად მიანიჭა ბაზელს.

მჩატე წონის მოკრივეთა ნახევარფინალში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ბ. სტეპანოვმა დაამარცხა შვარცი (დასავლეთ გერმანია). მეორე ნახევარფინალში უძლიერესი გამოდგა პოლონელი სტეფანიუკი. ევროპის წინა ჩემპიონატზე მჩატე წონის მოკრივეთა ფინალში ისევე როგორც წელს, იბრძოდნენ სტეფანიუკი და სტეპანოვი. საინტერესო ორთაბრძოლა მაშინ პოლონელმა მოიგო და მოიპოვა ჩემპიონის წოდება. ანალოგიური ამბავი განმეორდა მე-11 პირველობაზეც. ამჯერადაც გამარჯვება და მასთან ოქროს მედალი სტეფანიუკმა მოიპოვა.

მოულოდნელობით იყო აღსავსე ბრძოლები ქვემსუბუქ წონაში. ნახევარფინალში ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონი კრუჟა (პოლონეთი). ა. ზასუხინმა (სსრკ) ბრწყინვალედ მოუგო შეხვედრა დასავლეთ გერმანიის სპორტსმენს, გასული ჩემპიონატის პრიზიორს მელინგს. სენსაციური გამარჯვება მოიპოვა ნიჭიერმა ახალგაზრდა ინგლისელმა მოკრივემ ნიკოლსმა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონზე ჰამალაინენზე. ფინალში ინგლისელმა ქულებით დაამარცხა საბჭოთა მოკრივე და მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. მსუბუქ წონაში გაიმარჯვა კურშატმა (დას. გერმანია).

მოკრივეთა ძლიერი შემადგენლობა იყო თავმოყრილი პირველ ქვესაშუალო წონაში. აქ იყვნენ ცნობილი სპორტსმენები: ბუდაი (უნგრეთი), დროგოში (პოლონეთი), ენგიბარიანი (სსრკ), პადერსონი (დანია) და სხვ. ბუდაიმ თანასწორ ბრძოლაში დაამარცხა პადერსონი, ხოლო დროგოშმა — ენგიბარიანი. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დროგოში და ბუდაი. ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა დროგოშმა. მეორე ქვესაშუალო წონაში პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა ინგლისელმა გარგანომ.

წარმატებით გამოდიოდა პირველ საშუალო წონაში საბჭოთა მოკრივე კ. ჯანერიანი. მან ნახევარფინალში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი კაროლი. მასთან ერთად ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა პოლონელმა პეტშიკოვსკიმ, რომელმაც დაამარცხა რიგო (საფრანგეთი). ჯანერიან-პეტშიკოვსკის ფინალურ მატჩში უპირატესობა პოლონელი სპორტსმენის მხარეს იყო. მას მიეკუთვნა გამარჯვება.

კრივის მაღალი ტექნიკა და გამარჯვებისაკენ ურყევი სწრაფვა გამოამჟღავნა მეორე საშუალო წონაში, საბჭოთა გუნდის წევრმა, გ. შატკოვმა, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ვენჰოფერი (დასავლეთ გერმანია). ფინალში შატკოვმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა და დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

მესამე ოქროს მედალი დასავლეთ გერმანიის გუნდს მოუტანა ქვემძიმე წონის მოკრივემ შეპერმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ევროპის ჩემპიონი ნიცშკე (გდრ).

მას შემდეგ, რაც მძიმე წონაში ა. შოციკასმა დაამარცხა რუმინელი ჩობოტარუ მის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეპარვია. საბჭოთა მოკრივემ ნახევარფინალში მოუგო ჩეხ ნეტუკას. ფინალში შოციკასთან უნდა ებრძოლნა დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელს ვიტერშტეინს, რომელმაც დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი მაგნეტო. შოციკას-ვიტერშტეინის ფინალური შეხვედრა საბჭოთა მოკრივის აშკარა უპირატესობით აღინიშნა. მას მიეკუთვნა ევროპის ჩემპიონის წოდება მძიმე წონაში.

ევროპის პირველობის გათამაშება კრივში დამთავრდა. სამ-სამი პირველი ადგილები მოიპოვეს პოლონეთისა და დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებმა. საბჭოთა კავშირის და ინგლისის გუნდებიდან ოქროს მედალი ორ-ორმა მოკრივემ დაიმსახურა. სამი საბჭოთა სპორტსმენი მეორე ადგილზე გამოვიდა.

მეგობართა შეხვედრები

დიდი ინტერესით მოელოდა მოსკოვის მაყურებელი პოლონეთისა და საბჭოთა ფრენბურთელების მეორე შეხვედრას. სტუმრებმა ამჯერად მოედანზე შეცვლილი შემადგენლობა გამოიყვანეს. საბჭოთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: გერასიმოვი, ჩესნოკოვი, ლიბინში, ანდრეევი, რევა და ვეისკოპსი.

პირველ პარტიას იგებენ საბჭოთა ფრენბურთელები — 15:5. მეორე პარტიაში საგრძნობი იყო სტუმრების უპირატესობა, რომლებმაც ადვილად აიღეს რევანში 15 . 4. მესამე პარტიაც პოლონელთა გამარჯვებით მთავრდება 16:14. მომდევნო პარტიაში უპირატესობა საბჭოთა ფრენბურთელთა მხარესაა — 15:11. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა მეხუთე პარტიამ. სტუმრებმა იგი დიდი ოსტატობით ჩაატარეს და მოიპოვეს გამარჯვება 15:8. ამრიგად, მატჩის საბოლოო შედეგია 3:2 პოლონეთის გუნდის სასარგებლოდ.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა და პოლონეთის ფრენბურთელების მესამე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ანგარიშით 3:2.

საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადის შესახვედრად

საჭიროა მეტი და მაღალხარისხოვანი სპორტული ინვენტარი

* * *

მზადების დღეებში

◆

საუბარი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრ ამხ. შ. საბანაძესთან

◆

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული სექციების პირველხარისხოვანი სპორტული ინვენტარით მომარაგებას. ამ საკითხზე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. შ. საბანაძემ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— მიმდინარე წლის 30 მარტს, რესპუბლიკაში სპორტინვენტარისა და ტანსაცმლის წარმოებისა და შემოზიდვის გადიდების საკითხზე სპეციალური დადგენილება მივიღეთ. მარტო წელს საქართველოს საწარმოთა პროდუქციიდან სავაჭრო ორგანიზაციები მომხმარებელს მიაწვდის 12.793 ათასი მანეთის ყველა სახის სპორტულ საქონელს.

ადგილობრივი ნაწარმის გარდა, საბჭოთა კავშირის სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდანაც შემოზიდული იქნება საქონელი. ამ საქმეს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს „გლავკულტტორგის“ საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს სავაჭრო ბაზა (მმართველი მ. სკურიდინი). ბაზის საშუალებით წელს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებები მიიღებენ 4.583 ათასი მანეთის სპორტსაქონელს. შემოსაზიდ საქონლიდან განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ იმაზე, რაც რესპუბლიკაში არ იწარმოება. რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენები განსაკუთრებით განიცდიან სპორტული მოტოციკლების, ველოსიპედების, მაღალხარისხოვანი თხილამურების, მძლეოსნობის, ძალოსნობის ინვენტარის ნაკლებობას. ჩვენ წელს განზრახული გვაქვს მომხმარებელს მივაწოდოთ 4.800 ველოსიპედი, მათ შორის 300-მდე სპორტული, 100-მდე ტრეკისა. შემოტანილ იქნება აგრეთვე 500-ზე მეტი სხვადასხვა მარკისა და კუბატურის მოტოციკლი. 5.150 ყველა სახის თხილამური, 300 ესპადრონი, 300 ელექტროშპაგა, 250 ოლიმპიური ბადრო და სხვ. სამინისტრომ „გრუზუნივერტორგის“ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის, „საქვაჭრობის“ თელავის, ზუგდიდისა და სხვა მაღაზიებს სარეალიზაციოდ უკვე გადასცა მაღალხარისხოვანი სპორტული ინვენტარი, რომელთა დიდი ნაწილი გასაღდა.

მარტო „გრუზუნივერტორგის“ თბილისის მაღაზიებში წელს გასასყიდად გამოიტანენ 55 ღერძს, 60 ორძელს, 110 ოლიმპიურ ბადროს, 20 შვედურ კედელს, წამზომებს, შტანგებს, მძლეოსნობის, სპორტთამაშობისა და სხვა ინვენტარს.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ არტელ „სპორტისა“ და „დინამოს“ ქარხნებმა, რომლებმაც ხელშეკრულების თანახმად „გლავკულტტორგის“ ბაზას სარეალიზაციოდ უნდა მიაწოდონ 8 მილიონზე მეტი მანეთის საქონელი.

რესპუბლიკის მომარაგების საქმეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტულ მაღაზიებში ჩატარებული რეორგანიზაცია. თუ გასულ წლებში სპორტსაქონლით სუსტი მომარაგების გამო სპორტული მაღაზიების ვიტრინები სავსე იყო სხვადასხვა არასპორტული საქონლით (რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი), გეგმების შესრულება საგალანტერიო და საპარფიუმერიო საქონლის ხარჯზე ხდებოდა, ასე არ ითქმის წელს. ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ სპეციალიზირებული სპორტული მაღაზიები მთლიანად პასუხობდნენ მოთხოვნებს და მხოლოდ სპორტული საქონლით ვაჭრობდნენ.

ერთგვარი წარმატების მიუხედავად რესპუბლიკის სპორტინვენტარით მომარაგების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებები. საკმაო რაოდენობით ან სულ არ გვაქვს რგოლები, სარბენი ფეხსაცმელი, ბუცები, ტანვარჯიშული ინვენტარის დიდი ნაწილი, ველო და საკროსო ფეხსაცმელები და მრავალი სხვა, მაგრამ ვცდილობთ მოკლე ხანში მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის სპორტსმენთა მოთხოვნილებანი, მივაწოდოთ მათ მაღალხარისხოვანი სპორტინვენტარი.

მზადების პერიოდში სპორტინვენტარით სოფლის რაიონების მომარაგების საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს ცეკავშირმა და მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე შეუდგა ზრუნვას. დაკვეთები მისცა საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების იმ ფაბრიკა-ქარხნებს, სადაც მზადდება სპორტული ინვენტარი. მათ მიერ უკვე შემოზიდულია და სოფლის რაიონებს დაეგზავნა განსაზღვრული რაოდენობის საქონელი.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარება სარეალიზაციოდ შემოზიდული სპორტსაქონლის განაწილება-გასაღების საქმეში. კომიტეტის მუშაკებისათვის ყველაზე უკეთესადაა ცნობილი სად, ვის და რა საქონელი სჭირდებათ. ვაჭრობის სამინისტრო და „გლავკულტტორგის“ ბაზა მხედველობაში იღებენ რა მათ მოთხოვნებს, საქონელს ანაწილებენ კომიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად.

* * *

მხოლოდ აბრა მეტყველებს

სასპორტო საქონელი

პლეხანოვის პროსპექტზე გამვლელთა ყურადღებას იპყრობს თბილვაჭრობის № 12 მაღაზიის აბრა — „სასპორტო საქონელი“. შეხედავთ ვიტრინას და გაგიკვირდებათ, რა გინდათ, რომ აქ არ იყოს: ჩონგური, ტრიკოტაჟის ნაწარმი, სავარცხლები, ფეხსაცმლის ზონრები, დოლი... სპორტული კი...

— რა ვქნათ, — უმწეოდ გაშალა ხელები მაღაზიის გამგემ ლ. ჯიბრაელოვმა. — სპორტული ინვენტარი ბაზაში არ არის. ვიტრინები ცარიელი ხომ არ იქნება, მაღაზიამ ხომ უნდა ივაჭროს.

მაღაზიის გამგეს რა უნდა ჰქნას. მოთხოვნილება სპორტულ საქონელზე საკმაოდ დიდია. მიმდინარე წელს მაღაზიამ გაყიდა 50 ველოსიპედი, 21 მოტოციკლი, 60-მდე რაპირა და სხვ.

ერთი კი ფაქტია: რომ მაღაზიას არ ამარაგებენ მაღალი ხარისხის სპორტინვენტარით, ამიტომაა, რომ გეგმის შესრულებას სხვადასხვა საქონლის შემოზიდვითა და რეალიზაციით ახდენენ. მარტო მიმდინარე წლის 22 მაისს აქ 12.157 მანეთის საქონელი გაიყიდა. აქედან სპორტის სექციამ 3500 მანეთი ივაჭრა.

სამწუხაროდ, დედაქალაქში სულ რამდენიმე სპორტული მაღაზიაა და ისინიც პარფიუმერიითა და გალანტერიითაა გამოტენილი.

დარბაზი არის, იარაღები?..

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტივირებულია სპორტის 21 სახეობა. 2.500-მდე სტუდენტი სპორტსმენი მეცადინეობს სექციებში. ასეთი დიდი რაოდენობის სპორტსმენთათვის ნორმალური მეცადინეობის შექმნა ფიზკულტურისა და სპორტის კათედრას მეტად უძნელდება, და აი რატომ.

უკვე 5 თვეა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის სპორტულ ბაზას ახალი დარბაზი შეემატა, დროულად იქნა გამოყოფილი ფული დარბაზის მოსაწყობად, მაგრამ თანხა ხელუხლებელია, რადგანაც ვერსად ვიშოვეთ საყიდლად საჭიდაო და ტანვარჯიშული ლეიბები, ტაიჭი, მაგიდა და სხვა ინვენტარი. თბილისის სპორტინვენტარის ქარხანა თანახმაა დაამზადოს ინვენტარი თუ მას საჭირო ხე-ტყის მასალას მისცემენ. ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკიდან უკრაინისა და რუსეთის სპორტინვენტარის ქარხნებისათვის გააქვთ ხე-ტყის მასალა. ასე მაგალითად: ხარკოვის „სპორტსნაბს“ შეუკვეთეთ ორძელის ძელები, ქარხანამ საქართველოში მოჭრილი წიფლის ხისაგან დამზადებული ძელები გამოგვიგზავნა. ახლად მოწყობილ ძალოსნურ დარბაზს სჭირდება ფიცარნაგი, მაგრამ საჭირო მასალის უქონლობის გამო ქარხანა შეკვეთას არ იღებს, ამიტომ ძალოსნები პირდაპირ იატაკზე მეცადინეობენ.

შეხვალთ ჩვენს დარბაზში და შეამჩნევთ, რომ მხოლოდ ფრენბურთის ბადეა გაჭიმული. მაგრამ საინტერესოა როგორი ხარისხისაა ის? სპორტულ მაღაზიებში უხვად იშოვება კარგი თოკისაგან მოქსოვილი ჰამაკები, რომელსაც სპორტული ინვენტარის დამამზადებელი საწარმოები უშვებენ. ფრენბურთის ბადეები კი უვარგისი, წვრილი კანაფისაგან არის მოქსოვილი და მალე ფუჭდება. კარგი იქნება, რომ ჰამაკებისათვის განკუთვნილი კარგი ხარისხის თოკი ფრენბურთის ბადეებსაც მოხმარდეს.

აუცილებლად საჭიროა 10×10 მეტრის ზომის ხალიჩა თავისუფალი ვარჯიშების შესასწავლად. ამ მეტად საჭირო ინვენტარის შესაძენად თანხა გვაქვს, მაგრამ ხალიჩა არსად იშოვება. მომხმარებელთა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს არტელი „სპორტი“, იგი მეტად დაბალი ხარისხის მაისურებსა და ტრუსებს უშვებს. ერთხელ არტელს შეუკვეთეთ საჭიდაო ჩოხები და ისეთი დაბალი ხარისხისა შეგვიკერა, რომ პირველსავე ხელისმოვლებისას იხეოდა.

პრობლემად გადაიქცა კარგი ხარისხის ფრენბურთისა და კალათბურთის მრგვალი ბურთების შოვნა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთის ბურთებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არტელი „სპორტი“ არ იღებს ინვენტარს შესაკეთებლად მაშინ, როდესაც ყველა სპორტულ ორგანიზაციას მწყობრიდან გამოსული მრავალი ინვენტარი აქვს. საჭიროა მიმდინარე რემონტი და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება.

სპორტსმენთა სწორად აღზრდისათვის აუცილებლად საჭიროა მაღალხარისხოვანი ინვენტარი. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

ქ. ზაუტაშვილი,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

ერთი მანქანა

სპორტის სხვა სახეობათა შორის რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მოტო და ველოსპორტი. ძირეული კოლექტივები სხვა ზემდგომ ფიზკულტურულ ორგანოებთან ერთად იბრძვიან რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა მიიზიდონ სექციებში, აღზარდონ მაღალი თანრიგის სპორტსმენები, მაგრამ მათ ცდას ხშირად ხელს უშლის სპორტინვენტარის — მოტოციკლებისა და ველოსიპედების ნაკლებობა. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები საგზაო მანქანებით ასე თუ ისე გვამარაგებენ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სპორტულ მანქანებზე. ფაქტად ისიც კმარა, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი სპორტული მოტოციკლი არსებობს და ისიც სიძველის გამო ყოველდღე მწყობრიდან გამოსვლას ელოდება. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში განვიცდით სატრეკე და საგზატკეცილო ველოსიპედების ნაკლებობას.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი. რატომღაც ზემდგომი სავაჭრო ორგანოების დადგენილებით მაღაზიიდან თანხის გადარიცხვით არ შეიძლება ველო და მოტომანქანების შეძენა, და თუ ვაჭრობის სამინისტრომ გამონაკლისის სახით ნება დართო, მაშინ ახალ წინაღობად ავტოინსპექცია აღიმართება და ამ სახით შეძენილ მანქანებს არ აფორმებს — ნომრებს არ აძლევს.

ა. გუნია,
სპორტის ოსტატი.

დაპირება როდი კმარა

სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების, სასწავლო სპორტულ მეცადინეობათა სწორად ჩატარების საფუძველია მაღალი ხარისხის ინვენტარი. ეს განსაკუთრებით ითქმის მძლეოსნობაზე.

მიმდინარე წლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ძირეულ კოლექტივების სპორტული სექციების დასაკმაყოფილებლად სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მოითხოვა 3.000 წყვილი სარბენი ფეხსაცმელი, 1.500 შუბი, 600 ბადრო, 700 ბირთვი, 500 წამზომი, 500 საზომი ბაფთა, 100 სასტარტო დამბაჩა, 600 ბამბუკის ჰოკი და სხვ. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციები მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სათანადოდ არ მუშაობენ. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის არც ერთ ქალაქსა და რაიონში მძლეოსნებს არა აქვთ ბამბუკის ჰოკის შეძენის საშუალება, არ იშოვება თარჯები, სასპორტო კალაპოტები და დამბაჩები, უროები, შუბები, შუბის წვერები და სხვ. ბათუმში წელს მხოლოდ 30 წყვილი ფეხსაცმელი გაიგზავნა, სტალინირში — 8 და ა. შ. რაც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ახლა, როცა სპორტსმენები ყოველ შეჯიბრებაზე ცდილობენ აიმაღლონ შედეგები, აჩვენონ პირველი თანრიგისა და ოსტატის ნორმები, საჭიროა პირველხარისხოვანი, საკმაო რაოდენობის ინვენტარი.

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციების ვალია დროულად გამოასწორონ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებით მონაწილეობაში.

ლ. გიორგაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სსრ კავშირის პირველობა

◆

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 8 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცდსა	9	6	3	0	16:5	15
„დინამო“ მ.	8	6	2	0	19:4	14
„ტორპედო“	8	4	4	0	11:6	12
„სპარტაკი“ მ.	9	4	2	3	9:8	10
„ლოკომოტივი“	9	2	4	3	13:12	8
„შახტიორი“	8	1	5	2	9:9	7
„დინამო“ თბ.	8	2	3	3	10:11	7
„დინამო“ კ.	8	2	3	3	8:11	7
„ზენიტი“	8	2	2	4	7:12	6
„შრ. რეზერვები“	9	2	2	5	14:22	6
„კრ. სოვეტოვი“	9	2	2	5	9:18	6
„სპარტაკი“ მნ.	9	0	4	5	7:13	4

„ბ“ კლასის ოსგავგთა მატჩები

ქუიბიშევი. 5 ივნისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „კრილია სოვეტოვმა“.

მინსკი. 5 ივნისი. მინსკის სპარტაკელებმა თავის მოედანზე მიიღეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

მორიგი გამარჯვება

მოლოტოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). 5 ივნისს თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები აქ შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს.

თბილისის არმიელებმა კვლავ კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

• • •

გათამაშების ლიდერმა სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდმა თავის მოედანზე დაამარცხა როსტოვის „ტორპედო“ — 3:0.

ამავე დღეს ერევნის „სპარტაკმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ჩელიაბინსკის „ავანგარდთან“ შეხვედრაში — 4:0.

◆

ახალი საკავშირო რეკორდი

ამას წინათ, მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მოეწყო შეჯიბრება მძლეოსნურ ამანათრბენში. სპორტსმენთა გამოსვლა აღინიშნა ახალი საკავშირო რეკორდით, რომელიც დაამყარეს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის წარმომადგენლებმა ნ. პარიჩევმა, ი. ლიტუევმა, ბ. ტოკარევმა და ს. პლახოვმა. მათ ამანათრბენში 800+400+200+100 აჩვენეს შედეგი 3.10,4.

ჭიათურელ მოსწავლეთა სპარტაკიადა

დამთავრდა ჭიათურის მოსწავლეთა მეხუთე საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც 230-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი და ჭადრაკი. გოგონათა გუნდებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა რუსული საშუალო სკოლა, ვაჟთა შორის — პირველი საშუალო სკოლა. სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვა პირველი საშუალო სკოლის კოლექტივმა.

დ. გოგებაშვილი

ნაკლოვანებები საქართველოს ფრენბურთელთა თამაშში

◆

ე. ანტონოვი,

ფრენბურთის რესპუბლიკური სექციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე.

◆

წინა წლებისაგან განსხვავებით საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდებმა სუსტად ჩაატარეს წლევანდელი ზამთრის საკავშირო შეჯიბრება და დაიკავეს დაბალი ადგილები (ვაჟებმა მეცხრე, ხოლო ქალებმა მეხუთე). რასაკვირველია, ეს შედეგები ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას არ აკმაყოფილებს.

იმისათვის, რომ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში და განსაკუთრებით 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენმა ფრენბურთელებმა აჩვენონ უკეთესი შედეგები, საჭიროა სერიოზულად გავარჩიოთ არსებული ნაკლოვანებანი საქართველოს უძლიერეს ფრენბურთელებთან მუშაობაში და აღმოვფხვრათ ისინი. ამისათვის ჩვენ მართებულად მიგვაჩნია შემდგომი მუშაობა წარვმართოთ საკავშირო კომიტეტის სპორტთამაშობათა სამმართველოს მეთოდური წერილის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენი ფრენბურთელების კლასის გაუმჯობესების საქმეში.

მეთოდურ წერილში ნათქვამია, რომ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდების მომზადებაში ძირითად ნაკლს წარმოადგენს ბურთის მიღების ცუდი ტექნიკა (განსაკუთრებით მოწოდებიდან), აგრეთვე მისი გადაცემა თავდასხმითი დარტყმისათვის პირველი მიწოდებიდან. ძლიერი ბურთის მიღება და მისი მყისვეული გადაცემა თავდასხმითი დარტყმისათვის არის უახლოესი დროის მთავარი საზრუნავი. უამისოდ წარმოუდგენელია ფრენბურთის ტექნიკის შემდგომი ზრდა.

მართლაც, ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი განვლილ შეჯიბრებაში მთელ თამაშს აგებდა ბურთის სამ შეხებაზე. ამასთან დასკვნით დარტყმას ძირითადად ასრულებდა მხოლოდ ორი მოთამაშე, სპორტის ოსტატები ლ. სენიუკი და ე. ხაჩიკიანი.

მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ეს გარემოება და ამ მოთამაშეებს წარმატებით უყენებდნენ ჯგუფურ ბლოკს, რომლის გარღვევის ცდა მეტწილად უნაყოფო იყო.

თამაში ორ შეხებაზე, ე. ი. თავდასხმითი დარტყმის წარმოება პირველი მიწოდებიდან, ჩვენს გუნდს თამაშის პროცესში არ ძალუძდა, ვინაიდან იგი ასეთი თამაშისათვის მოუმზადებელი იყო. და ეს მაშინ, როცა ჩვენი მოთამაშეების ფიზიკური მონაცემები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნას მრავალფეროვანი თამაში როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

კიდევ უფრო ცუდად იდგა საქმე ვაჟთა გუნდში. მოთამაშეები არ იყვნენ დაუფლებული მოწოდებიდან ბურთის ზუსტად გადაცემას საბოლოო დარტყმისათვის. ისინი სუსტად ფლობდნენ აგრეთვე ბურთის გადაყვანის ტექნიკას, რაც მათ თამაშს ერთობ პრიმიტიულ ხასიათს აძლევდა.

ბურთის მიღებისა და გადაცემის ტექნიკაში ნაკლოვანებათა მთავარი მიზეზია გადაადგილების ცუდი ტექნიკა. უდროო გადაადგილება და ადგილის ცუდი შერჩევა მოთამაშეს აიძულებს ბურთი მიიღოს მოუხერხებელ მდგომარეობაში, ხშირად ზედმეტ ვარდნაშიც. განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ზედმეტ ვარდნას ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდის წევრები.

სხვა ნაკლოვანებას მოთამაშეთა ტექნიკურ მომზადებაში, აღნიშნულია მეთოდურ წერილში, წარმოადგენს სუსტი მომზადება ერთეული და ჯგუფური ბლოკის შესრულებაში. ბლოკირება უნდა წარმოადგენდეს მთავარ საშუალებას დაცვის ტაქტიკაში. ამ ელეთის ტექნიკის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია დაცვის ტაქტიკის გაუმჯობესება საერთოდ.

ჩვენი ვაჟთა გუნდის ისეთი მაღალი მოთამაშე, როგორიც არის ი. ტიშჩენკო (197,5 სმ) მეტად სუსტად ასრულებს ბლოკს. ტიშჩენკომ რომ სერიოზული ყურადღება მიაქციოს თამაშის ტექნიკის ამ მნიშვნელოვან ელემენტს, სისტემატურად იმუშაოს მის დაუფლებაზე, მას საშუალება ექნებოდა საიმედოდ დაეცვა გუნდი მოწინააღმდეგის თავდასხმისაგან. ქალთა გუნდში ლ. სენიუკისა და ე. ხაჩიკიანის გარდა დანარჩენ მოთამაშეებს სუსტად აქვთ დამუშავებული ბლოკი.

ცალკეული და ჯგუფური ბლოკის შესრულებისას ბევრ მოთამაშეს არა აქვს უნარი სწორად შეარჩიოს ადგილი და განსაზღვროს ნახტომის მომენტი, რის შედეგად ისინი ნახტომს ასრულებენ ნაადრევად ან მოგვიანებით. ამ მოთამაშეთა შეუთანხმებლობის გამო ჯგუფურ ბლოკში ყოველთვის რჩება „ფანჯარა“, რასაც კარგად იყენებს მოწინააღმდეგე.

მეთოდურ წერილში აგრეთვე მითითებულია სერიოზულ ნაკლოვანებებზე მოწოდებისა და თავდასხმითი დარტყმის ტექნიკაში. მრავალი ჩვენი წამყვანი მოთამაშე კარგად არ იცნობს გვერდით მოწოდებას, რომელიც სწორად შესრულების შემთხვევაში ყველაზე შედეგიანია.

მართლაც, ჩვენი ვაჟთა გუნდის მოთამაშეები სუსტად იყენებენ გვერდით მოწოდებას. ყველაზე წარმატებით ამ მოწოდებას ახორციელებს მხოლოდ გ. ზაალიშვილი. ეფექტურად შეუძლია გამოიყენოს ასეთი მოწოდება ვ. კაპარავამ. უნდა შეასწავლონ იგი ი. ტიშჩენკომ, ი. ბოიკომ და სხვებმა. რაც შეეხება ქალთა გუნდს, აქ ყველა აწოდებს ძლიერ გვერდით ბურთს, მაგრამ, მათი მოწოდება „სწორხაზოვანია“ ე. ი. ბურთი მოდის ძლიერად, მაგრამ უმისამართოდ, ხშირად პირდაპირ მოწინააღმდეგის ხელში. გარდა ამისა, მოწოდებათა საკმაოდ მოზრდილი პროცენტი იკარგება.

რაც შეეხება თავდასხმით დარტყმას, მრავალი მოთამაშე მას ასრულებს ერთფეროვნად. ძირითადად მხოლოდ სიძლიერეზე, არ იყენებენ გვერდით ჩარტყმას გადაყვანით, მოთამაშეთა უმრავლესობა მარცხენა ხელით საერთოდ ვერ ურტყამს. ბურთის სულ მცირე გადახრაც კი საკმარისია, რომ თავდასხმითი დარტყმა გაფუჭდეს. მოთამაშეებს უნდა შეეძლოთ თავდამსხმელი დარტყმის შესრულება, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ხელით, სხვადასხვა მდგომარეობიდან და ბადიდან სხვადასხვა მანძილზე.

ეს მითითება მთლიანად ეხება ჩვენს მოთამაშეებსაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ფრენბურთელი ვ. კაპარავა ბოლო ხანებში მეტად ეფექტურად იყენებს დარტყმას უკანა ხაზიდან, მაგრამ სამწუხაროდ, გასულ შეჯიბრებაზე მას ეს დარტყმა თითქმის სრულიად არ გამოუყენებია.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მწვრთნელს შეცდომად მიაჩნია, რომ საჭიროა მოთამაშეთა დაყოფა და მათი სპეციალიზაცია „სუფთა“ თავდამსხმელებად და „სუფთა“ დამცველებად. თანამედროვე ფრენბურთი მოითხოვს მოთამაშეთა მრავალმხრივ მომზადებას. ყოველ მოთამაშეს უნდა შეეძლოს თანაბარი ოსტატობით შეასრულოს ესა თუ ის ელემენტი როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხი, მეტი დრო დავუთმოთ მოთამაშეთა ტექნიკურ მომზადებას, მათთან ინდივიდუალურ წვრთნას.

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 16 მარტის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი „მთავარი დაივიწყეს“. წერილი ეხებოდა ახალციხის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. ახალციხეში სპორტული ბაზები საკმაოდ არის, მაგრამ ისინი მოუვლელია. ქალაქის სტადიონი შემოუღობავია, არა აქვს დასაჯდომი მაყურებელთათვის. ვალეს საშუალო სკოლის ფიზკულტურის დარბაზი დღემდე დაუმთავრებელია. პედაგოგიური სასწავლებლის დარბაზი არ თბება, ჭერიდან წვიმა ჩამოდის, არ ყოფნით სპორტული ინვენტარი და სხვ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს იგითხანიშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ლომსაძე მუშაობის ჩაშლისათვის სამსახურიდან გაათავისუფლა.

რაიონში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

კალათბურთის ფარეგთან

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გრძელდება ქალაქის პირველობის გათამაშება კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ 1954 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თბილისის „დინამო“, სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტების და სხვა გუნდები.

ჩემპიონატი ტარდება წრიული სისტემით. კალათბურთელთა კოლექტივები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს.

• • •

სურათზე: საჯარიმო გდება.

ფოტო მ. ზარგარიანისა

საქართველოს პირველობა

5 ივნისს ჩატარდა ფეხბურთში საქართველოს პირველობის VI ტურის მატჩები. რუსთავის „მეტალურგისა“ და სოხუმის „დინამოს“ შეხვედრაში დინამოელმა კემულარიამ საჯარიმო დარტყმიდან გახსნა ანგარიში. შემდგომში „მეტალურგმა“ გაიტანა საპასუხო ბურთი და თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

მწვავე და დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „დინამოსა“ და მახარაძის „კოლმეურნეს“ შორის. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ მათ ანგარიში კიდევ ერთი ბურთით გაზარდეს, მაგრამ შემდგომში „კოლმეურნემ“ გაქვითა ორივე გოლი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

თბილისში თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდები — „ლოკომოტივი“ და 26 კომისრის სახ. რაიონის გუნდი. შეხვედრა მიმდინარეობდა რკინიგზელთა უპირატესობით, რომელთაც გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ფოთის ნაკრები გორში შეხვდა „დინამოს“. ფოთელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი, ხოლო თავისაში არ მიუღიათ არც ერთი.

ბორჯომის „პიშჩევიკი“ თავის მოედანზე მიიღო „კოლმეურნე“ (ქობულეთი). ქობულეთელებს მთელი თამაშის მანძილზე ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა და შეხვედრა დამთავრდა მათი გამარჯვებით, ანგარიშით 2:0.

დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ბათუმში გათამაშების ლიდერს, ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს შორის. ძლიერი წვიმის შემდეგ მოედანი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თამაშის ნორმალურ მსვლელობას. ტრამვაელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0. ეს ბათუმელთა პირველი დამარცხებაა.

სტალინირის „სპარტაკი“ ამ დღეს თბილისში შეხვდა „მესტპრომის“ (თბილისი) გუნდს. სპარტაკელთა მიერ ერთადერთმა გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა შეხვედრის ბედი მათ სასარგებლოდ.

ა. გეწაძე

ჩემი ფალავანი

ვინ არ იცნობს ამ შავლეგოს ვაჟკაცს ძვალმსხვილ
მკლავებიანს,
მთის მხრებია მისი მხრები, ხაცრისტოლა თვალები აქვს
და თვალებში ვარსკვლავები ხვამლად დაუხვავებია,
მტრების გული გაუპია, ჩვენი გაუხარებია.

როცა ველებს გუთნის ნაცვლად ნაღმებით და მეხით
ხნავდნენ,
ის ვერაგებს მიჰყიოდა ვოლგის წყლიდან ბერლინამდე.
მტრების ჩექმებს მშობლიური მიწა რომ არ ათელია,
ეს ვაჟკაცი შავლეგოა, მოჭიდავე ქართველია.

ხამშობლოში დაბრუნებულს რა რიგ შვენის მკერდის
გაშლა,
როცა თავზე დასტრიალებს მოშრიალე ვაზთა ლაშქარს.
რარიგ შვენის ხალამოზე გამოჩენა კალოს პირზე;
მოჭიდავე მხნე ჭაბუკებს გამომწვევი თვალით უმზერს.

უცებ ზურნას დაუკრავენ, წრეს შეჰკრავენ
მხარგრძელები
და მა, ჩემი ფალავანი ტოკავს ვეფხურ გახელებით.
ერთს კისრულით გადმოაგდებს და სხვას ხარმით
გადაისვრის,

თვალსა შვენის ცეცხლის ფერი,
თმას ამშვენებს ფერი გიშრის.

მეც თვალებში ცეცხლი მიდგას, ჩემს ფალავანს როცა
ვუმზერ,
და მგონია, რომ მას მკერდში ამირანის გული უცემს.

ტრიალებს და ხაზე უხურს, ჭიდაობს და ლხინში არი,
ბიჭი არი ქართულ ჯმუხა მუხასავით ჯიშიანი,
პირზე ღიმი აფენია, მისი თვალიც ნათელია,
ვაჟკაცია, შავლეგოა, მოჭიდავე ქართველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანგა პარბატი

ო. გიგინეიშვილი

დ. ზატულოვსკი

1953 წლის აპრილში მიუნხენიდან ნანგა პარბატისაკენ კვლავ გაემგზავრა გერმანელების ახალი ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყო 10 მთამსვლელი დასავლეთ გერმანიიდან. მათ გაიარეს პაკისტანის დედაქალაქი კარაჩი, ქალაქები ლაჰორი და რავალპინდი, მდინარე ინდის ქვაბი, მზით გადახრუკული ველი და მიაღწიეს როკხიოტის ხეობას. ექსპედიციას თან ახლდა მრავალი ქაშმირელი მზიდავი ჰუნზას ტომიდან.

3.700 მეტრის სიმაღლეზე მოეწყო ძირითადი ბანაკი. გეგმით 7.000 მეტრის სიმაღლემდე საჭირო იყო 5 საშუალედო ბანაკის მოწყობა, რასაც თვეენახევარი დასჭირდა. ეს იყო საკმაოდ ძნელი და სახიფათო საქმე. საჭირო გახდა ყინულის ფერდობებზე მრავალი საფეხურის გაჭრა, თოკის ჯებირებისა და კიბეების გადმოკიდება, მათზე მზიდავების გატარება და ბანაკებში პროდუქტებისა და საჭურველის ატანა. ხშირი ავდარი მეტად აძნელებდა სამუშაოს. როდესაც ექსპედიციას შეხვდა პირველი სიძნელე, აშკარა გახდა, რომ ჯგუფი არ წარმოადგენდა ერთ მთლიან კოლექტივს. ექსპედიციის ყოველი წევრი დაინტერესებული იყო მხოლოდ პირადი დიდებით და ფულით. ერთმანეთში ისინი ხედავდნენ მხოლოდ კონკურენტებს და ერთმანეთის თავიდან მოცილებაში უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ურთიერთდახმარებაში. ყოველი გერმანელი მთამსვლელი დაინტერესებული იყო, რომ ეზიდა რაც შეიძლება ნაკლები ტვირთი, ევლო რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობის საფეხურები, დაეზოგა ძალები და ასულიყო მწვერვალზე თავისი ამხანაგების მოქანცვის ხარჯზე. ექსპედიციის მონაწილემ ერტელმა შემდგომში განაცხადა: „ჩვენ შევთანხმდით, რომ არც ერთ ჩვენგანს, გარდა მხოლოდ უკიდურესი შემთხვევისა, არ უნდა გაეწია ანგარიში ამხანაგისათვის". ამ მხრივ ეს ექსპედიცია ჩამოგავდა გერმანელების მიერ მოწყობილ წინა ექსპედიციებს, სადაც ურთიერთისადმი უნდობლობამ ამდენი ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია.

თუმცა მიუნხენიდან გამგზავრებისას და ნანგა პარბატის ძირას მისვლის პირველი დღეების განმავლობაში ექსპედიციის ათივე მონაწილეს მტკიცე განზრახვა ჰქონდა პირადად მიეღო მონაწილეობა მწვერვალის იერიშში, მაგრამ ამჟამად განზრახული ხუთი პირველი საშუალედო ბანაკის მოწყობის შემდგომ, როდესაც უკვე იყო დახარჯული საკმაოდ დიდი ენერგია, იერიშში მონაწილეობის საკითხს წყვეტდა მთამსვლელთა ფიზიკური ძალების რეალური შეფარდება. ამ მხრივ საიერიშო ჯგუფის გადარჩევა სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, ვინაიდან ჯგუფი გადარჩა თავისთავად, „ბუნებრივი შერჩევის" წესით. „ბუნებრივი შერჩევით" საიერიშო ჯგუფში მოხვდნენ მთამსვლელები: ბული, კემპტერი, ფრაენბერგერი და ერტელი. დანარჩენ მთამსვლელებს საიერიშო ჯგუფის ასეთი შემადგენლობის წინააღმდეგ არაფერი უთქვამთ, ვინაიდან მათ საიერიშო ჯგუფში მონაწილეობის მიღებას არავინ არ უშლიდა, მაგრამ საამისო ფიზიკური ძალა არ გააჩნდათ. სამაგიეროდ, გულში ისინი თავის ამხანაგებს წარმატებას კი არა, მარცხს უსურვებდნენ. საიერიშო ჯგუფის ასეთი შემადგენლობით უპირველეს ყოვლისა უკმაყოფილო იყო ექსპედიციის უფროსი ხერლიკოფერი. საიერიშო ჯგუფში მოხვედრილი არც ერთი მთამსვლელის გამარჯვება მას არ სურდა. ექსპედიციაში მას ჰყავდა „თავისი" ჯგუფი და „თავისი" მთამსვლელები. ამიტომ ხერლიკოფერმა გადაწყვიტა არ დაეშვა საიერიშო ჯგუფში მოხვედრილ მთამსვლელთა ასვლა ნანგა პარბატის მწვერვალზე.

წინა ექსპედიციების გამოცდილების საფუძველზე, ამჟამად შესაძლებელი იყო მწვერვალისაკენ შედარებით მოსახერხებელი გზის შერჩევა. ექსპედიცია ვარაუდობდა როკხიოტის ყინვარიდან მწვერვალის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფერდობით როკხიოტის პიკის (7.000 მეტრი) მახლობლად თხემზე გასვლას. აქ იწყებოდა ტექნიკურად ყველაზე უფრო რთული გზა.

ივნისის ბოლოს ბანაკები მზად იყო. ამინდიც შესანიშნავი იდგა. შესაძლებელი გახდა იერიშის დაწყება. მოიერიშე ჯგუფმა 4 მთამსვლელის შემადგენლობით და 4 მზიდავის თანხლებით სწრაფად გაიარა ბანაკები: № 1 (4.560 მეტრი) და № 2 (5.300 მეტრი) და მიაღწია ბანაკს № 3 (6.150 მეტრი). გზაზე № 3 ბანაკამდე ჯგუფში კვლავ მოხდა „ბუნებრივი შერჩევა". ფრაენბერგერი და ერტელი ვეღარ მიჰყვებოდნენ ტემპში ბულსა და კემპტერს. მალე იღლებოდნენ და განიცდიდნენ „ჟანგბადის შიმშილს". ამიტომ ფრაენბერგერმა და ერტელმა მწვერვალის იერიშზე უარი განაცხადეს და გადაწყდა, რომ ისინი ავიდოდნენ მხოლოდ № 5 ბანაკამდე.

№ 3 ბანაკში მთამსვლელებმა უდიდესი სიძუნწით გადააწყეს ზევით წასაღები პროდუქტები და საჰურველი. ასეთ სიმაღლეზე მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ ზედმეტ გრამს.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, მოიერიშე ჯგუფის რადიოსადგურმა მოულოდნელად მიიღო ექსპედიციის უფროსის ხერლიკოფერის ბრძანება — დაბრუნებულიყვნენ უკან. მოიერიშე ჯგუფის წევრები საკმაოდ გამოცდილი მთამსვლელები იყვნენ იმისათვის, რათა მიმხვდარიყვნენ ხერლიკოფერის ბრძანების ნამდვილ არსს. ასეთ მომენტში უკან დახევა ეს ნიშნავდა მწვერვალზე ხელის აღებას. ბულს და კემპტერს, რომლებიც აპირებდნენ მწვერვალზე ასვლას, თავისი ძალის მარაგი გაანგარიშებული ჰქონდათ ისე, რომ ის ეყოფოდათ მხოლოდ მწვერვალზე ასასვლელად და ძირითად ბანაკში დასაბრუნებლად. ახლა კი, № 3 ბანაკიდან ქვევით დაშვების შემთხვევაში, მწვერვალის ახალი იერიშის დასაწყებად და დასაგვირგვინებლად მათ ძალა აღარ ეყოფოდათ. მეორეს მხრით, წლის ამ დროს, კარგი ამინდები ნანგა პარბატის რაიონში ხანგრძლივად არ დგას. მალე დაიწყებოდა მუსონების პერიოდი.

ასე აპირებდა ანგარიშის გასწორებას მოიერიშე ჯგუფის მთამსვლელებთან ხერლიკოფერი. თუმცა შემდგომში ის თავს იმართლებდა იმით, რომ თითქოს მას სურდა ძირითად ბანაკში საიერიშო ჯგუფისათვის დასვენების საშუალება მიეცა.

მოიერიშე ჯგუფმა უყოყმანოდ მიიღო გადაწყვეტილება არ დამორჩილებოდა ექსპედიციის უფროსის ბრძანებას და განეგრძო იერიში. ხერლიკოფერი დაყინებით იმეორებდა რადიოთი თავის ბრძანებას, მაგრამ ბანაკი № 3 სდუმდა. მოიერიშე ჯგუფმა ექსპედიციის ძირითად ბანაკთან კავშირი შეწყვიტა. ხერლიკოფერმა დურბინდით დაინახა თხემზე ჯაჭვივით როგორ გაიჭიმა ზევით მიმავალი მთამსვლელების ჯგუფი. მაშინ ხერლიკოფერმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ნამდვილ სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა: მან უბრძანა ყველას, ვინც კი იმყოფებოდა შუალედ ბანაკებში, დაუყოვნებლივ ჩამოსულიყვნენ ქვევით. ამრიგად, გაჭირვების შემთხვევაში მოიერიშეთა ჯგუფს ვერავინ მიეშველებოდა. ხერლიკოფერმა ისინი დასალუპად გასწირა.

ჯგუფმა ერთი ღამე გაატარა № 4 ბანაკში, სწორედ იქ, სადაც 1937 წელს დაიღუპა ზვავისაგან 7 მთამსვლელი და 9 მზიდავი. 2 ივლისს კი მიაღწია № 5 ბანაკს (7.000 მეტრი). ჯერ კიდევ შედარებით ადრე იყო და ფრაენბერგერი და ერტელი მზიდავებთან ერთად იმავე დღეს უკან დაბრუნდნენ № 4 ბანაკისაკენ. ბული და კემპტერი მარტონი დარჩნენ. უთენიას მათ მწვერვალის იერიში უნდა დაეწყოთ. მწვერვალამდე ვერტიკალით კიდევ რჩებოდა 1.125 მეტრი, რაც ასეთ სიმაღლეზე მეტად ძნელი დასაძლევი მანძილია. ბულსა და კემპტერს იმედი ჰქონდათ თავისი ფიზიკური მომზადებისა და ასვლის მთელ ტაქტიკას და გამარჯვების იმედს მოძრაობის სწრაფ ტემპზე აგებდნენ. შეიძლება ეს ერთის მხრივ სწორიც იყო, ვინაიდან მათ აღარ მოუხდებოდათ ზედმეტი ღამის გათევა დიდ სიმაღლეზე, ამინდის მხრივაც შედარებით მეტად იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი, მაგრამ ელვისებური ასვლის მოწყობის მათი ჩანაფიქრი მოიცავდა დიდ საშიშროებას: მათ შეეძლოთ ვერ მოესწროთ გათენებიდან დაღამებამდე მწვერვალზე ასვლა და ბანაკში დაბრუნება და მაშინ... ვინ იცის დაბრუნდებოდნენ საერთოდ თუ არა. ღამით ბულს ძილი არ გაჰკარებია. კემპტერი კი პირიქით, ღრმა ძილს მიეცა. ეტყობოდა, რომ საკმაოდ მოიღალა.

ღამის 2 საათისათვის ბული უკვე მზად იყო. გარშემო თოვლი ციმციმებდა და უცნაური ნათელი იდგა, იწყებოდა იშვიათი წყნარი და თბილი დილა. კემპტერს უჭირდა ადგომა და წასასვლელად მზადებას აგვიანებდა. ეს ბულისათვის შეიძლება ერთგვარად ხელსაყრელიც იყო — მწვერვალზე ასვლის მეტოქე არ ეყოლებოდა. ბული დარწმუნებული იყო, რომ კემპტერი იმოძრავებდა ნელა და დღეს მწვერვალზე ასვლას ვერ მოასწრებდა. ბული მწვერვალისაკენ მარტო გადის. მას ტვირთი თითქმის არ ჰქონდა, ზურგჩანთაში ჩაილაგა მხოლოდ ცოტაოდენი თბილი ტანსაცმელი, ჩაი თერმოსით, გლიუკოზა ტაბლეტებით, ორიოდე ნამცხვრის ნაჭერი და პერვიტინი — აღსაგზნები საშუალება. ეს უკვე რაღაც ავანტიურისა და სიკვდილთან თამაშის მაგვარი იყო.

დილის 6 საათზე ბული „ვერცხლის ზეგანზე" იმყოფებოდა. თოვლი ჯერ კიდევ მტკიცე იყო და ამიტომ შედარებით ადვილად მიდიოდა. ზეგანის ბოლოზე რომ გავიდა, ბულმა უკან მოიხედა და დაინახა კემპტერი, რომელიც მისგან მეტად შორს იყო. მით უკეთესი, ბული მწვერვალზე მარტო ავა. ეს იყო მისი პირველი ასვლა ჰიმალაის ქედზე და ამიტომ შეიძლება თავის თავს კარგად არც კი აძლევდა ანგარიშს, თუ რა ხიფათში აგდებდა თავს მწვერვალისაკენ მარტო წასვლით. ახლა მასზე ჰიპნოზივით მოქმედებდა მომავალი დიდება. დიდება, რომელიც მოელოდა ნანგა პარბატის მწვერვალზე პირველ მთამსვლელს და ფული, ბევრი ფული, მუდმივი გაჭირვებიდან თავის გამოხსნა.

ზეგანი დამთავრდა. ახლა ბული იდგა ვიწრო და გრძელი თხემის დასაწყისში. უთოკოდ, ამხანაგის დაცვის გარეშე თხემზე გასვლა მეტად საშიში იყო. მაგრამ ბულს არ შეუმჩნევია თუ როგორ დაკარგა მან გარემოს სწორი აღქმის უნარი. ის ხედავდა თავის წინ უძირო უფსკრულებს, მაგრამ ვეღარ გრძნობდა სიღრმეს. ის გრძნობდა მხოლოდ, რომ დაღლილია, ძალიან დაღლილი. მან დასტოვა ზურგჩანთა, ჯიბეში ანგარიშმიუცემლად ჩაიწყო რამდენიმე ნამცხვარი, პერვიტინის ტაბლეტი და განაგრძო გზა. ტემპი იკარგებოდა. მზე ზენიტს გადასცდა, ბული კი მიდიოდა. ჟანგბადის ნაკლებობამ მოუსპო მას სწორად აზროვნების უნარი. მას უკვე აღარ ახსოვდა, რომ დღეს მოჰყვება ღამე... ის ხედავდა თავის წინ მხოლოდ მწვერვალს, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ახლოვდებოდა. ჟანგბადის სასუნთქი აპარატი ბულს არ ჰქონდა და ყოველ ნაბიჯზე აკეთებდა 12 ამოსუნთქვას, ყოველ 20-30 ნაბიჯზე ჩერდებოდა დასასვენებლად. ერთხელ სცადა, რომ შეეჭამა ნამცხვარი, მაგრამ ვერ გადაყლაპა, პირში ნერწყვი აღარ ჰქონდა.

ცალ ფეხს ის ადგამდა თხემის კლდეებს, ცალს კი სამხრეთისაკენ ქარაფებზე გადაკიდებულ თოვლის ლავგარდანებს, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ჩანგრეულიყო და მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა არც დიდება და არც ფული....

ბულს ძალამ საბოლოოდ უმტყუნა. მან გადაყლაპა პერვიტინის ტაბლეტი, თუმცა გაახსენდა, რომ პერვიტინის მოქმედება გრძელდება 5-6 საათი, რასაც მოჰყვება ძლიერი რეაქცია და შემდეგ კი დეპრესია, მაგრამ მან ვეღარ მოისაზრა თუ რამდენ ხანს გრძელდება 5-6 საათი, ალბათ მოასწრებს მწვერვალზე ასვლას და ბანაკში დაბრუნებას და მეტიც, იქნებ მიუნხენში ჩასვლასაც...

კემპტერი გავიდა ბანაკიდან ერთი საათის დაგვიანებით. მან ძლივს გაიარა „ვერცხლის ზეგანი" და ბულის დატოვებულ ზურგჩანთასთან შეჩერდა, წინ წასვლა აღარ შეეძლო. სიმაღლემ მის გონებაზეც იმოქმედა. ის იჯდა აქ ნახევრად მძინარე საღამოს 5 საათამდე, შემდეგ კი უკან დაბრუნდა.

პერვიტინმა იმოქმედა. ბულს ძალა მოემატა. გაიარა თხემი, „ბაცინის ღრუ" და მიადგა ნანგა პარბატის მთავარი მწვერვალის კლდოვან ფერდობს.

საღამოს 7 საათზე ბულმა, ადამიანთაგან პირველმა შედგა ფეხი ნანგა პარბატის მწვერვალზე. ის თითქოს გამოფხიზლდა. გადაიღო რამდენიმე სურათი და დაამაგრა წერაყინი პაკისტანის დროშით.

დაღამებამდე მან მოასწრო „ბაცინის ღრუს" გავლა. ახლა ის კვლავ მოიცვა აპატიამ, გონება კვლავ დაენისლა. ღამე უნდა გაეტარებინა თითქმის 8.000 მეტრის სიმაღლეზე უკარვოდ, მსუბუქად ჩაცმულს. სიბნელეში გზა აღარ ჩანდა. ბული შეჩერდა ისე, რომ არც უცდია მოეძებნა უშიშარი ადგილი. მას აღარ ახსოვდა რომ არსებობს სიკვდილი. ძილი ეკიდებოდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში გონებაში იბადებოდა აზრი, რომ დაძინების შემთხვევაში ვეღარ გაიღვიძებდა.

ბული თითქოს განწირული იყო. მაგრამ ღამე წყნარი და „თბილი" გამოდგა. ყინულებში გატარებული ღამე მას მხოლოდ მოყინული ფეხის თითებად დაუჯდა.

იგი ეშვებოდა ნახევრად გონება დაკარგული, დაეწყო ჰალუცინაციები, ელაპარაკებოდა თავის ამხანაგებს, მიუნხენელ ნაცნობებს, იცინოდა, ტიროდა... ღამით ბული მივიდა № 5 ბანაკში. აქ მას დახვდნენ დილით კვლავ ამოსული ერტელი და ფრაენბერგერი. კემპტერი ქვევით წასულიყო.

ძირითად ბანაკამდე მათ არ შეხვედრიათ არც ერთი ადამიანი. არავის არ აინტერესებდა მწვერვალისაკენ წასულთა ბედი. თითებმოყინულ ბულს სამედიცინო დახმარებაც კი არ აღმოუჩინეს.

ბულის გამარჯვებამ შურის გრძნობა გამოიწვია ექსპედიციის დანარჩენ წევრებში. გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მათ ერთმანეთს უჩივლეს, საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. შემდეგ ყველაფერი მიჩქმალეს.

ასე დასრულდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის, ნანგა პარბატისათვის ბრძოლის ტრაგედიებით აღსავსე ისტორია.

ამ ამბავმა დაგვანახა თუ როგორი არ უნდა იყოს ასეთ მაღალ მწვერვალებზე ექსპედიციების ორგანიზაცია და ასვლის ტაქტიკა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 45

გაზეთ „საბჭოთა აჭარის" ჯილდოზე

ბათუმში მოეწყო ტრადიციული შეჯიბრება ველოსპორტში გაზეთ „საბჭოთა აჭარის" გარდამავალ ჯილდოზე. პროგრამაში იყო გუნდური ველორბოლა 25 კილომეტრზე ქალებისათვის და 50 კილომეტრზე ვაჟებისათვის.

სტარტი პირველად სპორტსმენმა ქალებმა აიღეს. უკვე პირველსავე კილომეტრზე „დინამოს" გუნდს დაზიანების გამო გამოაკლდა ერთი სპორტსმენი. ამან „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებს საშუალება მისცა მოეგო ორი წუთი და რბოლას სათავეში ჩადგომოდა.

მეათე კილომეტრზე „ბურევესტნიკის" წევრს ნ. წეროძეს დაუზიანდა მანქანა. ლიდერობა ხელთ იგდეს „პიშჩევიკის" ველოსიპედისტებმა, მაგრამ წეროძემ მანქანის შეკეთების შემდეგ მაღალი ტემპი განავითარა და დაეწია თავის თანაკლუბელებს. მალე „ბურევესტნიკის" გუნდმა გაუსწრო მეტოქეს და ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნ. წეროძე, ე. კონცელიძე და ზ. კონიჩენკო.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა ვაჟთა შორისაც. პირველი ადგილი დაიკავა „დინამოს" სპორტსმენთა კოლექტივმა (რ. მიქაძე, ვ. სუსლოვი, მ. ფრანცუზოვი).

საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი და გარდამავალი ჯილდო შეინარჩუნეს „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა.

შ. მამინაშვილი

საშეფო ორგანიზაციებში

სოფლად სპორტის პოპულარიზაციის მიზნით ქუთაისის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ შექმნილმა 11 ბრიგადამ, რომელთა შემადგენლობაში 500-ზე მეტი სპორტსმენი შედიოდა, ქუთაისისა და სამტრედიის რაიონების მტს-ებისა და კოლმეურნეობების ფიზკულტურელებთან ჩაატარა ერთდღიანი საშეფო-საჩვენებელი გამოსვლები. მოეწყო ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ლექცია-საუბრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის, მშთ ახალი კომპლექსისა და მსოფლიოში საბჭოთა სპორტსმენების მიღწევების შესახებ.

მაღალ დონეზე ჩაატარა საჩვენებელი გამოსვლები ქუთაისის ახალგაზრდობის სპორტულმა სკოლამ სოფელ ოფშკვითში. საავტომობილო ტექნიკუმისა და პედაგოგიური სასწავლებლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა — სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურელებმა — სამტრედიაში, აბრეშუმკომბინატისა და სამთო ტექნიკუმის სპორტსმენებმა — ქუთაისის რაიონის სოფლებში გეგუთში, სიმონეთში და სხვ.

ი. ბუხაიძე

ყოველი მხრიდან

⊙ **ლისაბონი.** დევისის თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ აფრიკისა და ნორვეგიის ჩოგბურთელები. გამარჯვება წილად ხვდა სამხრეთ აფრიკის გუნდს — 4:1.

• • •

⊙ **ოსტრავა.** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში „ოსტრავას" (ჩეხოსლოვაკია) და „ვაშაშ" (უნგრეთი) შორის დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 3:0.

• • •

⊙ **ვენა.** მატჩი შოტლანდიისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა შოტლანდიელთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 4:1.

• • •

⊙ **როტერდამი.** ჰოლანდიისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდების მატჩი ფეხბურთში მოიგეს ჰოლანდიელებმა — 4:1.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 04124